

დადგენილება 16/2020 „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსებისათვის“ ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება №16/2020

03 აპრილი 2020

დადგენილება 16/2020 „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსებისათვის“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 03 აპრილის N11 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსებისათვის“ და

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი.“

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი არეგულირებს გამოცხადებული კონკურსებისათვის საპროექტო განაცხადის შერჩევის წესს, პირობებს, შეფასების კრიტერიუმებს, ასევე მონიტორინგის საკითხებს.“

გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტები: ა) საპროექტო განაცხადის მოსაპოვებლად კონკურში მონაწილეობა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.“.

დ) მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. კონკურსის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი რეგულირდება კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებით.“.

ე) მე-5 მუხლის 5.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.5. საპროექტო განაცხადის შეფასების ეტაპებია:

ა) რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შეფასება;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ტექნიკური წუნის აღმოფხვრა;

გ) რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის შერჩევის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) დადგენილი პირობების დაცვით რეგისტრირებული პროექტების შეფასება, შერჩევა კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ;

ე) საპროექტო განაცხადის შერჩევის შედეგების გამოქვეყნება.“.

ვ) მე-6 მუხლის 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საპროექტო განაცხადის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან და მისი აქტუალობა;

ბ) მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა), საპროექტო განაცხადის მონაწილის/ების კომპეტენცია;

გ) მენეჯმენტი და განხორციელებადობა, გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა მიზნებთან;

დ) ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან;

ე) გამოყენებადობა და მნიშვნელობა კონსერვატორიის სასწავლო გარემოსთვის (მხოლოდ იმ კონკურსებისთვის, რომელთა პირობები ითვალისწინებს აღნიშნულ მოთხოვნას).“.

ზ) მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საპროექტო განაცხადის შეფასება.“.

თ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1. რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შესაბამისობის დადგენა ხორციელდება სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ;

2. საპროექტო განაცხადის/ების შერჩევა ხორციელდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ შეფასების თითოეულ კრიტერიუმზე ღია კენჭისყრით. სხდომაში/ებში და განხილვაში/ებში მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტებს სრული შემადგენლობით და დეკანის მიერ წარდგენილ დოქტორანტებს ხმის უფლების გარეშე;

3. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს საპროექტო განაცხადის შემოტანის უფლება;
4. საგამომცემლო კონკურსის ხელშეკრულების მონიტორინგი ხორციელდება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგამომცემლო საქმიანობის წესი“-ს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რელევანტურ მიმართულებაზე ნაშრომის რეცენზირებით.“.

ი) მე-8 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 8. დამატებითი სავალდებულო მოთხოვნები.“.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. დადგენილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებგვერდის ადმინისტრატორს დ.ხავთასს
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

